რექტორის 2011 წლის 4 თებერვლის №03-62 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების ს შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27 დეკემბრის №114 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2011 წლის 11 თებერვლის №03-1716/11 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. რექტორის 2011 წლის 4 თებერვლის №03-62 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,**1.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს **2011 წლის 7 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით** (უნივერსიტეტის კანცელარია, მის. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5) შემდეგი ფაკულტეტებისათვის:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

ბ) ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

გ) სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

დ) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.“

2. რექტორის 2011 წლის 4 თებერვლის №03-62 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ მესამე პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,, **3.** საბუთების მიღება იწარმოებს **2011 წლის 7 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის: თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5).“

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების განთავსება საჯარო გაცნობისათვის;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

რექტორი გიგი თევზაძე